ინფორმაციო ცნობა

სკკპ XXII ყრილობის შესახებ

27 ოქტომბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა.

დილის სხდომაზე გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა. სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: **ვ. ა. კუჩერენკო** — სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტი, **ბ. პ. ბეშჩევი** — სსრ კავშირის გზათა მინისტრი, **მ. ტ. ეფრემოვი** — სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ნ. მ. გრიბაჩოვი** — მწერალი, ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ მთავარი რედაქტორი, **ი. ტ. ნოვიკოვი** — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის მინისტრი, **ბ. ვ. იოგანსონი** — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, **ა. ტ. ტვარდოვსკი** — მწერალი, ჟურნალ „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი, **მ. ა. ოლშანსკი** — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, **ა. ე. კორნეიჩუკი** — მწერალი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენებათა გამო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო.

ყრილობის სახელზე მიღებულია მისასალმებელი წერილები ჰონდურასის, პაკისტანის, ტაილანდის კომუნისტური პარტიებისაგან, აფრიკის დამოუკიდებლობის პარტიისაგან (სენეგალი), ბირმის პროგრესული პარტიების — ბირმის მუშათა პარტიისა და ხალხის ამხანაგთა პარტიისაგან.

საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა**, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო ყრილობამ [illegible] დადგენილება, რომელშიც მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. ყრილობამ მოიწონა დასკვნები და წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.

ყრილობამ აირჩია კომისია, რომელიც მოამზადებს პარტიის XXII ყრილობის რეზოლუციის პროექტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო და განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესწორებებსა და დამატებებს.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საღამოს სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმნენ ნორჩი პიონერები, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლეკი

29

ოქტომბერი

პირა,

1961 წ.

№ 174 (1810)

გამოდის მე-18 წელი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ტოკიოსათვის გამიზნული შეჯიბრება

ჩემპიონატის დაწყებამდე სამბოს რომელ სპეციალისტისათვისაც არ უნდა გეკითხათ, გამარჯვების პრეტენდენტთა შორის სამ კოლექტივს დაგისახელებდნენ: მოსკოვს, საქართველოს და ლენინგრადს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თითქმის ყველა ჩემპიონი და პრიზიორთა უმრავლესობა ამ გუნდებშია თავმოყრილი. მოსკოვის, საქართველოსა და ლენინგრადის მოჭიდაველებმა ენერგიულად დაიწყეს ტურნირი და მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამარჯვებებით დაამტკიცეს, რომ მათ სამართლიანად თვლიან ჩემპიონობის პრეტენდენტებად.

ახლა, როდესაც დამთავრდა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში, და ცნობილი გახდა ნახევარფინალებში მონაწილეთა გვარები, ერთგვარად შეიძლება შეჯამდეს გუნდური პირველობისათვის მებრძოლთა შანსები. ლენინგრადი ყოველ წონით კატეგორიაში წარმოდგენილია თითო მონაწილით და ამდენად მისი მდგომარეობა სტაბილურია. საქართველოსა და მოსკოვის გუნდებს ზოგიერთ წონით კატეგორიაში რამდენიმე მონაწილე ჰყავთ (გუნდურ ჩათვლას კი ესაჭიროება ერთი საუკეთესო შედეგი). სამაგიეროდ მჩატეში (საქართველოს) და მსუბუქში (მოსკოვს) არცერთი.

მჩატე წონაში ჩვენი გუნდის წევრმა ლომსაძემ წინასწარი შეჯიბრების შემდეგ დატოვა ტურნირი. მისი ბედი გაიზიარა მსუბუქ წონაში მოსკოვის კოლექტივის „ოქროს ჩამთვლელმა“, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა კლუბნიჩკინმა. ასე რომ, საქართველოსა და მოსკოვის გუნდებს შედარებით უარესი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე ლენინგრადს, თუმცა ჯერ წინ არის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები, რომლებიც საბოლოოდ გაარკვევს ძალთა თანაფარდობას.

წინასწარი შეჯიბრების უკანასკნელი წრის შეხვედრები ზოგიერთ წონით კატეგორიაში შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა. ეს გასაგებიცაა, რადგან მოჭიდაველები ნახევარფინალში უკეთესი ბალანსით ცდილობდნენ შესვლას. ქვემძიმე წონაში ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება განაღდებული ჰქონდა როგორც საქართველოს გუნდის წევრს ქიბროწაშვილს, ისე მოსკოველ რომანოვსკის. მიუხედავად ამისა, მათი ბრძოლა იყო უაღრესად დაძაბული და საინტერესო. მოჭიდაველები თავიდანვე ეკვეთნენ ერთმანეთს, მაგრამ ძალები იმდენად თანაბარი გამოდგა, რომ დიდხანს უბრალოდ ნახევარი ქულაც კი ვერ გაკეთდა. მეექვსე წუთზე ქიბროწაშვილმა ბოლოსდაბოლოს „აქტიურობას“ მიაღწია, მაგრამ სულ მალე რომანოვსკიმ გაანონასწორა მდგომარეობა.

ბრძოლის დამთავრებას წუთზე ნაკლები აკლდა, როდესაც ქიბროწაშვილმა 1-ქულიანი ილეთი ჩაუტარა მოწინააღმდეგეს. შემდეგ მან სცადა მტკივნეული ილეთით სუფთა გამარჯვების მოპოვება, მაგრამ დრომ აღარ მოიცადა. გაისმა შეხვედრის დამთავრების მაუწყებელი სიგნალი. რომანოვსკი ნახევარფინალში სამი საჯარიმო ქულით შემოვიდა.

თბილისელი კიკნაძისათვის (მძიმე წონა) არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა უზბეკეთის გუნდის წევრთან ტიტოვთან შეხვედრის შედეგს, მაგრამ ქართველმა ოსტატმა ბრძოლა მისთვის ჩვეულ აგრესიულ სტილში ჩაატარა. ტიტოვი გაურბოდა გართულებებს, და ხშირად ხალიჩის გარეთაც გაბოდა და მსაჯთა კოლეგიამ მას გაფრთხილება მისცა. ამის შემდეგ იგი წამით გააქტიურდა, რასაც მოჰყვა კიკნაძის ღლვისებური მოგვერდი და ტიტოვი ბეჭებზე აღმოჩნდა. მეექვსე წუთზე უზბეკმა მოჭიდავემ შეწყვიტა წინააღმდეგობა.

რა მდგომარეობაში არიან პირველობის პრეტენდენტები ნახევარფინალური ბრძოლების წინ? უმჩატეს წონაში დამჯერებლად ლიდერობს კაციაშვილი, რომელსაც არც ერთი საჯარიმო ქულა არა აქვს. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან სავჩენკო (რსფსრ) და პუშკინი (ლენინგრადი). ჩვენი გუნდის მეორე წევრს ქუცნიაშვილს სამი საჯარიმო ქულა აქვს. მჩატე წონაში წინ არიან რსფსრ-ს წარმომადგენლები კეროდი და ქაცანაშვილი, აგრეთვე მოსკოველი ფრაერი.

ქვემსუბუქ წონაში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი: საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოველი სტეპანოვი, საქართველოს გუნდის წევრები მარიდაშვილი, სიმონიშვილი, მარტყოფლიშვილი, ელერდაშვილი და ასევე გაზაშვილი (სომხეთიდან). მსუბუქ წონაში ლიდერობენ: თბილისელი არაბული, ლენინგრადელი ბოგოლუბოვი, უკრაინის გუნდის წევრი კანჭაშვილი და ოსფსრ-ს წარმომადგენელი კანთელაშვილი. ქვეყნაშუალო წონაში — ზუბარაევი (მოსკოვი), ჩიტაშვილი (საქართველო), გლარიოზოვი (მოსკოვი) და მარიამული (საქართველო), საშუალო წონაში — მუხიაშვილი (საქართველო), კარაშუკი და ციპურსკი (მოსკოვი), ხეისინი (ლენინგრადი).

ქვემძიმე წონაში — შულცი და ნოვიკოვი (მოსკოვი), ქიბროწაშვილი (საქართველო), ხაჩიძე (სომხეთი). მძიმე წონაში არც ერთი საჯარიმო ქულა არ აქვს კიკნაძეს, თითო ქულა — ასიატიოლოვს (რსფსრ) და საუნინს (უკრაინა). შინჯიკაშვილი, როშჩინი (უკრაინა) და ბრატკო (მოსკოვი) 3-3 ქულით იბრძვიან.

ქ. ნინიაშვილი,
სპორტის ოსტატი,
ნ. გუგუშვილი.



თბილისის „დინამოს“ ოთხი ქულა

მოსკოვში, ცსკა-ს საწყლოსნო აუზში დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა გუნდების ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი შეხვედრები.

გათამაშების პირველ დღეს მოსკოვის „ბურევესტნიკი“ შეხვდა ლვოვის „დინამოს“. ოთხივე პერიოდის განმავლობაში უპირატესობა მოსკოველი სტუდენტების მხარეზე იყო, რომლებმაც მოიგეს თამაში ანგარიშით 7:3. ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა ლენინგრადის „ბალტიკა“ — 4:1. ვმფ-„ტრუდის“ (რსფსრ) გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა — 4:2.

თბილისის „დინამო“ ამ დღეს შეხვდა კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კკფ) კოლექტივს. როგორც ცნობილია, ამ გუნდების ყოველი შეხვედრა დიდი შეუპოვრობით ხასიათდება. ასე იყო ამჯერადაც. თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს თამაში — გოგოლაძე, ჩიქვანაია, მეგედი, წიკლაური, მიმინოშვილი, გვახარია, ჩხიკვაძე.

თამაში დაიწყო დინამოელთა შეტევით, მაგრამ ბაქოელები თავს კარგად იცავდნენ და პირველ პერიოდში ანგარიში არ გახსნილა. მეორე პერიოდში ჩიქვანაიამ ზუსტად ტყორცნა ბურთი — 1:0. სულ მალე მეზღვაურებმა ანგარიში გაათანაბრეს (4-მეტრიანი საჯარიმოდან) — 1:1. მესამე პერიოდში მიმინოშვილმა მიიღო ბურთი, გაექცა მოწინააღმდეგეს და ბურთი ბაქოელთა კარში გაგზავნა. კკფ-ს წყალბურთელებმა ანგარიში კვლავ გაათანაბრეს — 2:2. დარჩენილ დროში გვახარიას ზუსტმა ტყორცნამ თბილისის „დინამოს“ გამარჯვება მოუტანა — 3:2.

გათამაშების მეორე დღეს მოსკოვის დინამოელებმა ადვილად ძლიეს „ტრუდის“ (რსფსრ) გუნდი — 9:2, ხოლო ვმფ-მა ლენინგრადის „ბალტიკა“ — 4:1. სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს კკფ-ს წყალბურთელებმა მოსკოვის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს. სტუდენტებმა შეხვედრა მოიგეს მხოლოდ ერთი ბურთის განსხვავებით — 3:2.

ამ დღეს დინამოელებმა ითამაშეს ლვოველ თანაკლუბელებთან, ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ამ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით გამოვიდა — გოგოლაძე, ჩიქვანაია, მეგედი, მიმინოშვილი, სანაძე, გვახარია, ჩხიკვაძე. თავდაპირველად შეუტიეს „დინამოს“ წყალბურთელებმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბურთი მაინც მათ კარში აღმოჩნდა. მალე სანაძემ გაათანაბრა ანგარიში. მეორე პერიოდში სურათი არ შეცვლილა. უტევდნენ „დინამოს“ წყალბურთველები, მაგრამ ანგარიში არ იცვლებოდა. მესამე პერიოდში გვახარიამ 4-მეტრიანი საჯარიმოდან ზუსტად ტყორცნა ბურთი და თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა ეს მატჩიც — 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	5	5	0	0	13:3	10
„დინამო“ მ.	5	4	1	0	25:9	9
ვმფ	5	4	1	0	19:8	9
„ბურ“. მ.	5	3	1	1	15:10	7
„ბალტიკა“ ლდ.	5	0	2	3	5:15	2
„დინამო“ ლვ.	5	1	0	4	9:19	2
„ტრუდ“ რსფსრ	5	0	1	4	8:21	1
კკფ ბ.	5	0	0	5	11:20	0

სურათზე გ. ჩიქვანაია (მარჯვნივ) მისდევს წინ გაჭრილ მოწინააღმდეგეს.

სპორტული ფილმები—მასებს!

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად გამოდის ათობით სამეცნიერო-პოპულარული, ქრონიკალური და სასწავლო კინოფილმი. მხოლოდ უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა გამოუშვა 30 სასწავლო ფილმი, რომლებშიც ნაჩვენებია გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენების, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და მსოფლიო რეკორდსმენების ტექნიკა და სხვ. ცნობილი მწვრთნელები ვ. ალექსეევი, ვ. დიაჩკოვი, დ. მარკოვი, კ. კუდრიავცევი, ნ. შატოვი, ა. სენატოროვი და სხვები წარმატებით იყენებენ კინოს სასწავლო-სწავრთნელი პროცესის ორგანიზაციისას, სპორტსმენების მიერ ტექნიკურად რთული მოძრაობების შესრულების ანალიზისათვის.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სპორტული საზოგადოებები, კლუბები, ფიზკულტურული კოლექტივები და სასწავლო დაწესებულებები ნაკლებად იყენებენ სპორტულ სამეცნიერო-პოპულარულსა და სასწავლო ფილმებს. ეს მაშინ, როცა მოსკოვში, ლენინის სახ. სტადიონთან შექმნილია ასეთი ფილმების შესასყიდად სპეციალური ფოტო-კინოლაბორატორია „სოიუზსპორტფილმი“. სპორტული ორგანიზაციები, კლუბები თავს არ იწუხებენ შეიძინონ ფილმები სპორტულ სექციებში, გუნდებში საჩვენებლად. მაგალითად, უზბეკეთში სასწავლო ფილმები „ალპინიზმი“, „თავისუფალი ჭიდაობა“, „კლასიკური ჭიდაობა“ უკანასკნელ ორ წელს აჩვენეს მხოლოდ 3-10-ჯერ. მოსკოვშიც კი, სადაც უამრავი სასწავლო დაწესებულება, ძირეული კოლექტივი და სპორტული კლუბია, სრულებით არ უსარგებლიათ კინოფილმებით „წყალბურთი“, „ნიჩბოსნობა“, „ჰოკეის თამაშის ტექნიკა“, „ფიგურული სრიალი“ და სხვ.

პრეზიდიუმმა უსაყვედურა სპორტული სახეობების საკავშირო ფედერაციებს, რომ ისინი სასწავლო ფილმებს არ უკეთებენ სათანადო მეთოდურ რეკომენდაციებს. ამასთან ისინი და პროპაგანდის განყოფილება დროზე არ აუწყებენ ადგილობრივ ორგანიზაციებს სასწავლო და დოკუმენტური სპორტული ფილმების გამოსვლას.

მრავალი რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა და ქალაქების სპორტულ საზოგადოებრიობას არ აქვთ საქმიანი კავშირი კინოგაქირავების ორგანოსთან. თავის მხრივ, არც კინოგაქირავების ორგანოები აწვდიან მათ ინფორმაციას გამოსული სპორტული ფილმების შესახებ.

პრეზიდიუმმა ამ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, რომლებიც ითვალისწინებენ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებებს. ამასთან პრეზიდიუმმა დაავალა სპორტსაზოგადოებებს შეიმუშაონ დიდი სტადიონების კინოფიკაციის, კინო-ფოტოლაბორატორიებისა და სასწავლო ფილმების საჩვენებელი ოთახების მოწყობის გეგმები 1962-1963 წლებისათვის.



„ფეხბურთელები“

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი დადგმა

ზომ უცნაურია აკადემიური თეატრის სცენაზე ტრუსებსა და მაისურებში, ბუცებსა და წვივსაფრებში გამოწყობილი მსახიობების გამოჩენა? თანაც ისე, რომ ეს ერთადერთი სცენიური ეპიზოდი კი არ არის, არამედ სპექტაკლის ორგანული ნაწილი, მისი სიუჟეტური განვითარების ძირითადი ღერძი!...

ხომ წარმოუდგენელი რამაა თეატრის სცენაზე უყურებდე — და ამასთან ერთად, გჯეროდეს! — არა მარტო სპორტული კოლექტივის, ფეხბურთელთა გუნდის ცხოვრებას, არამედ მის თამაშებსაც, საფეხბურთო მომენტებით აღსავსე ეპიზოდებსაც?!

ეს შემოქმედებითი გაბედულება გამოიჩინა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, როცა ხელი მოჰკიდა ლ. ზორინის პიესას „ფეხბურთელებს“.

მაგრამ, მთელ რიგ ტექნიკურ სირთულეებსაც რომ თავი დავანებოთ, რა უნდა გამოსულიყო ლ. ზორინის საკმაოდ მდარე, უფერული ნაწარმოებისაგან, რომელიც მეტისმეტად მარტივად, ზედაპირულად ჰყვება სპორტული კოლექტივის ცხოვრებაზე?... რომელსაც მხოლოდ დაწყებული აქვს სპორტსმენი ადამიანების რამდენიმე საინტერესო სახის მოხაზვა, დაწყებული, მაგრამ — დაუმთავრებელი?

და აქაც შემოქმედებით კოლექტივს ნაცად მეგზურად მოევლინა მცირე ტრადიცია, ტრადიცია — იყოს თავის მაყურებელთა ინტერესების შუაგულში და იქიდან ამოქონდეს უტყუარი გასაღები მათი გულებისაკენ, მათი გრძნობათა სამყაროსაკენ. თეატრმა გულდასმით განაგრძო დრამატურგიულ მასალაზე მუშაობა, რათა პიესისათვის მიეცა აქტუალური, ჩვენთვის სპეციფიკური და მძაფრი საზოგადოებრივი ყღერადობა, ამასთან — შესაძლებლობისამ¿ებრ გაეღრმავებინა სცენიური სახეები, მათი შინაარსი, ისევე როგორც მთელი რიგი ეპიზოდების შინაარსი.

ჩვენ აქ შემთხვევით არ დავუკავშირეთ თეატრის სახელი პიესის გადაკეთებას, რამდენადაც ამაში ა. ჩხაიძესთან ერთად (პიესა გადმოქართულებულია მის მიერ) არანაკლები წვლილი აქვთ შეტანილი რეჟისორსაც, მსახიობებსაც — მთელს შემოქმედებით კოლექტივს.

პიესაში შ¿ტანილია მთელი რიგი შტრიხები და მომენტები, რომლებიც ზუსტად არიან მორგებული ჩვენს სპორტულ სინამდვილესთან და უშუალო ასოციაციების გზით აკავშირებენ ჩ¿ენს მეხსიერებას ბევრ კონკრეტულ პიროვნებასთან და მოვლენასთან, გარდასულ სპორტულ ამბებთან და რაც მთავარია — ღღეანდ¿ლობასთან.

სპექტაკლში მწვავედაა დასმული ქართული ფეხბურთის ბედის საკითხი, ისე მწვავედ და მრავალსახოვნად, რომ იგი ათასი ძაფით უკავშირ.დება გულშემატკივართა და თვით სპორტსმენთა გულებს, ათას მტკივნეულ სიმს ათრთოლებს მათში და ემოციურად შემართავს ამ საქმისათვის საბრძოლველად, გარდასული და სახელოვანი ტრადიციების აღდგენისათვის საბრძოლ-¿ელად, მავნე მოვლენებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის საბრძოლველად. პიესაში ერთ-ერთი პერსონაჟის პირით ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ფეხბურთი მარტო თამაში კი არ არის, არამედ ხალხის სახელისა და სპორტული ღირსებისათვის ბრძოლაც, ნაჩვენებია, რომ სპორტი განუყოფლად და მრავალმხრივაა დაკავშირებული ჩ¿ენი მასების სულიერ სამყაროსთან და აქ მომხდარი ყველა მარცხი და წარუმატებლობაც საშინელ ტკივილებს იწვევს მათში, საშინელ წყენას აყენებს ათასობით ადამიანებს.

პიესაში მოთხრობილია ერთი საფეხბურთო კოლექტივის შესახებ, რომლის სახელიც წინათ ქუხდა თავისი სიძლიერით, ლამაზი და ტ¿ემპერამენტიანი თამაშით და რომელიც ახლა ძლივსღა ღაფავს სულს, სამარცხვინოდ აგებს მატჩს მატჩზე, უამრავი წყენისა და გულისტკივილის საფუძველია იმ ხალხისათვის, რომელმაც მას, ამ გუნდს, თავისი სპორტული დიდების დაცვა დაავალა. „მე სცენას მივანებე თავი, — ¿უბნება „დამსახურებული გულშემატკივარი“ მახარე ქვარიანი თავის ძმაშვილს, მარცხენა გარემარბს არჩილს, — ნაადრევად გავედი პენსიაზე, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება საყვარელი საქმისათვის, ფეხბურთისათვის შემეწირა, თქვენ კი...“ ბოლო სასტიკი დამარცხებაც — 0:4 — და ფეხბურთელთა გასახდელში შემოქონავს ცნობა გულგატ¿ხილი ტრიბუნებიდან: „ხალხი ამბობს სტადიონზე აღარ მოვალთო...“.

რა თქმა უნდა, არც რეჟისორს, არც მსახიობებს, არც თეატრსა და გადმომქართულებელს არ შეეძლოთ უზრუნველეყოთ ბრწყინვალე სპექტაკლი მდარე დედნისაგან. მაგრამ უდავოა ისიც, რომ მათ შეძლეს თითქმის მაქსიმუმი ამოეწურათ შესაძლებლობებიდან, რასაც იძლეოდა „სხვისი“ პიესა. და მათ მიაღწიეს იმას, რომ სპექტაკლის მსვლელობა საინტ¿ერესო და მძაფრი გამხდარიყო.

თეატრის დამსახურება კიდევ ისაა, რომ მან შეძლო აკადემიური თეატრისათვის საპატიო სიმაღლემდე აეყვანა წერილის დასაწყისში აღნიშნული თითქოსდა საჩოთირო, უცნაური დრამატურგიული მასალა.

ამის მისაღწევად ბ¿ევრი რამ გააკეთა რეჟისორმა — გ. ლორთქიფანიძემ. ზემოთაც ავღნიშნეთ: ამ პიესის დადგმისას მის წინაშე იდგა არა მხოლოდ ჩვეულებრივი შემოქმედ¿ებითი ამოცანები, არამედ დიდ ტ¿ექნიკურ სიძნელეებთან დაკავშირებული ასეთივე ამოცანებიც. სატელევიზიო გადაცემ¿ების ფორმის, ეკრანისა და ლექტორის ტექსტის მახვილგონივრული გამოყენებით ახლა სპექტაკლი იოლად მიდის მაყურებლამდე. მაგრამ რეჟისორის მთავარი დამსახურება მაინც ცხადია, ჩანს თვით სცენაზე, საიდანაც იღვრება კომედიის ცხოველმყოფელი განწყობილება, სადაც მოქმედ¿ებენ მსახიობები, სადაც წარმოდგება საინტერესო სცენები.

პირველი, რომელიც სცენაზე შექმნილ სახეთაგან დაგამახსოვრდებათ, არის ზ. ლაფერაძის მიერ განსახიერებული მწვრთნელი. ესაა კეთილშობილური სახე, თავისუფალი ყოველგვარი სქემატიზმისაგან და პლაკატურობისაგან, რის საშიშროებასაც უხვად ქმნიდა თვით პიესა, ამ როლის ტექსტი.

საუკეთესო მხრივ წარმოგვიდგა რ. ხობუა მახარე ქვარიანის როლში. მის მიერ შექმნილი სახე კომედიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. უფრო მრავალმხრივს და ღრმად გამიზნულს ხდის სპექტაკლს გარკვეული „ხელმძღვანელის“ ტიპის — ვალერიან ნებიერიძის განსახიერება პ. ინწკირველის მიერ.

სამწუხაროდ, წერილის ფარგლები საშუალ¿ებას არ გვაძლევენ სრულად შევეხოთ მსახიობთა ოსტატობას, მაგრამ არ შეიძლება მოკლედ მაინც არ აღვნიშნოთ ე. მაღალაშვილის მიერ დამაჯერებლად წარმოდგენილი ვ¿ეტერანი ფეხბურთელის სახე საყვარელ საქმესთან გამოთხოვების მთელი დრამატიზმით, შ. ქოჩორაძის სიმპათიური მარცხ¿ენა გარემარბი, გ. გელოვანის მიერ მიმზიდველი უშუალობით განსახიერებული მურზაყან დაშნიანი, აგრეთვე ა. ვერულეიშვილის, გ. ლეჟავას, თ. მაისურაძის და სხვათა თამაში.

და ბოლოს, არ შეიძლება მადლობა არ ითქვას თეატრის მიმართ, რომელმაც გამოიჩინა კეთილშობილური სწრაფვა: ხელოვნების შთამბეჭდავი, გულში ჩამწვდომი სიტყვით თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი, ქართული ფეხბურთისა და საერთოდ — სპორტის აღორძინების საქმეში.

შ. ვადაჭკორია

* * *

სურათებზე: ზევით — სცენა პირველი მოქმედებიდან. პორტრეტები — ზევიდან — ირაკლი გორდაძე (ზ. ლაფერაძე), ამირან უგრეხელიძე (ე. მაღალაშვილი), ცისანა (ჯ. ვაშაყმაძე), ვალერიან ნებიერიძე (პ. ინწკირველი), მურზაყანი (გ. გელოვანი), შაქრო (ა. ვერულეიშვილი), მახარე (რ. ხობუა), არჩილი (შ. ქოჩორაძე).

ფოტო ი. გრატიაშვილისა.



ახალგაზრდა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა საფუძვლიანად მოინადირა მაყურებელთა გული თამაშის აგრესიული სტილით და მრავალფეროვანი ტექნიკით.

სურათზე: ა. მეტრეველი თამაშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

პროსი თ დამთავრდა შეჯიბრება

საკავშირო სარბიელზე ცალკეულ ქართველ ჩოგბურთელთა წარმატების მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გუნდურ ჩათვლაში არასახარბიელო ადგილებს იკავებდნენ ხოლმე. ამჟამად მათ ნანატრ სამეულში მოხვედრის რეალური შანსები ჰქონდათ, მაგრამ გუშინდელმა მატჩმა მოსკოველთა წინააღმდეგ, რომელსაც მესამე ადგილის ბედი უნდა გაერკვია, გამარჯვების სასწორი სტუმრების მხარეზე გადახარა.

შეხვედრაში მონაწილე ბელორუსი და სომეხი სპორტსმენები შეიკრიბნენ დელისის მიდამოებში კროსის ჩასატარებლად, სავარაუდო გამარჯვებები ცნობილი იყო.

საქართველოს მეორე გუნდი 64 ქულით უსწრებდა პირველ ნაკრებს, მაგრამ ამ უკანასკნელის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგან გუნდის წევრები ი. მურომცევი, ა. კრავჩენკო, გ. კალმახელიძე და ლ. სალუქვაძე საკმაოდ კარგ მორბენლებად ითვლებოდნენ.

შეჯიბრებამ გაამართლა პროგნოზი და საქართველოს პირველმა გუნდმა მძლეოსნურ კროსში 192 ქულით მოუგო მეორე ნაკრებს. ეს სრულიად საკმარისი იყო გამარჯვებისათვის და რესპუბლიკის პირველმა ნაკრებმა 13168 ქულით სამატჩო შეხვედრებიც მოიგო.

ბელორუსიის გუნდმა, რომლის წევრებმა—ე. ტერენტიევმა და ვ. სანკარევსკიმ მძლეოსნურ კროსში შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს, საერთო ჩათვლაში 13068 ქულით მეორე ადგილი გაინაღდა და 8 ქულით გასწრო საქართველოს მეორე ნაკრებს. საინტერესოა, რომ მძლეოსნურ კროსში ამ ქულების ანაზღაურება სამი მეათედი წამით შეიძლებოდა. მეოთხე ადგილზე გამოვიდა სომხეთის გუნდი.

პირადი პირველობისათვის მებრძოლებიდან მძლეოსნურ-კროსში საუკეთესო იყო სომხეთის გუნდის წარმომადგენელი ვ. ზახარენკო — 14.01 წუთი. ამ შედეგით მიღებულმა 1170 ქულამ იგი საერთო მესამე ადგილზე გაიყვანა.

ათასქულიანი ზღვარი გადალახეს თბილისელმა სპორტსმენებმა ა. ოვნანიანმა და ი. მურომცევმა, რომლებმაც კროსში შესაბამისად მეოთხე-მეხუთე ადგილები დაიკავეს. საქართველოს პირველი გუნდის წარმომადგენელ, სპორტის ოსტატ ა. კრავჩენკოსათვის მძლეოსნურ კროსში მიღებული 979 ქულა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა საერთო პირველი ადგილის მოპოვებისათვის — 4815,5 ქულა.

სპორტის ოსტატმა ზ. გვასალიამ წინა დღეებში მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საერთო მეორე ადგილზე გადაინაცვლა — 4707 ქულა.

საქართველოს პირად პირველობაზე მონაწილე ხუთჭიდელებიდან ამ ორი სპორტსმენის შემდეგ 4422 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა დინამოელმა ი. ოვნანიანმა.

აღსანიშნავია 18 წლის დინამოელი სპორტსმენის ვ. ანანოვის წარმატებაც. ახალგაზრდა ხუთჭიდელმა, რომელიც სულ 10 თვეა, რაც სპორტის ამ სახეობას „ეზიარა“, შეჯიბრებაზე 4197 ქულა დააგროვა და ბევრად გადააჭარბა პირველი თანრიგის ნორმატივს.

ხ. როგავა,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
გ. ხამხოლნაძე.

სურათზე: საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში, სპორტის ოსტატი ა. კრავჩენკო.

ფოტო ი. იუნაევისა.

დაისაჯნენ უწესრიგოგისათვის

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე ზესტაფონისა და კასპის რაიონების სტადიონებზე მომხდარი ინცინდენტების საკითხი.

ზესტაფონში ადგილობრივი „მეტალურგისა“ და კასპის „განთიადის“ შეხვედრის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა შორის მყოფმა ხულიგანთა ჯგუფმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კასპელ ფეხბურთელებს. ხულიგნები პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

კასპში ადგილობრივი „განთიადისა“ და წითელწყაროს „შირაქის“ გუნდების შეხვედრის მეორე ნახევრის 23-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 1:0 „შირაქის“ სასარგებლოდ, მსაჯმა უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევა კასპელი გ. ქარქაშიძე, მალე მსაჯმა ანალოგიური მოქმედებისათვის მოედნის დატოვება მოსთხოვა კასპის გუნდის მეორე ფეხბურთელს გ. გოდერძიშვილს, მაგრამ გუნდმა უსაფუძვლოდ სცადა გოდერძიშვილის დაცვა და წინააღმდეგობა გაუწია მსაჯს ვ. ჯანდოევს. მსაჯი იძულებული იყო თამაში შეეწყვიტა.

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული ამბების ირგვლივ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება: ზესტაფონის „მეტალურგს“ აეკრძალა ერთი კალენდარული შეხვედრის ჩატარება საკუთარ მოედანზე. ასეთივე ზომა იქნა მიღებული კასპელთა მიმართაც, მხოლოდ იმ დამატებით, რომ „განთიადს“ ჩაეთვალა წაგება „შირაქთან“ და გ. გოდერძიშვილი დისკვალიფიცირებულ იქნა წლის ბოლომდე.

მეოთხე ადგილი... პირველად

როგორც, წინა დღეებში გამართულ შეხვედრებში, ამჯერადაც გაამართლეს იმედები ჩვენმა მოზარდმა ჩოგბურთელებმა. ნ. მძინარიშვილმა და ა. მეტრეველმა შესაბამისად ვ. ტკაჩევსა და ბ. ლუნინზე გამარჯვებით ორი ქულა მოუტანეს თავის კოლექტივს. ამდენივე ქულით განამტკიცეს გუნდის წინსვლა ა. ივანოვამ და ნ. თუხარელმა.

დაძაბულად წარიმართა ორი „ძველი“ მოწინააღმდეგის — ი. რიაზანოვასა და ა. დმიტრიევას შეხვედრა, რომელიც მოსკოველის გამარჯვებით დამთავრდა — 7:5, 4:6, 6:4. საქართველოს ჩემპიონმა რ. აბაანდაძემ მისთვის ჩვეულ აგრესიულ სტილში ჩაატარა თამაში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელ ლ. პრეობრაჟენსკაიას წინააღმდეგ და საჭირო ქულაც მოუტანა გუნდს — 7:5, 8:6.

ანგარიში გახდა 5:2 ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში მოსკოველ ვ. ფილიპოვს გამარჯვებამ ზ. ღოღობერიძეზე ეს სხვაობა ერთით შეამცირა. ამის შემდეგ უპირატესობამ მთლიანად მოსკოველთა მხარეს გადაინაცვლა და მომდევნო რვა შეხვედრიდან სტუმრებმა ამდენივე გამარჯვება ჩაიწერეს თავის აქტივში. მართალია, მოწინააღმდეგეთა გუნდის ღირსებას იცავდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, როგორიც ს. ანდრეევი, ს. მირზა, ნ. ოზეროვი და სხვები იყვნენ, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მაინც არ გამოუმეღავნებიათ მაქსიმალური ბრძოლისუნარიანობა გამარჯვებისათვის.

საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ამ რვა შეხვედრიდან ექვსში ჩვენმა მოზრდილმა ჩოგბურთელებმა ვერც ერთი პარტიის მოგება ვერ შეძლეს, ნამდვილი შეუპოვარი სპორტული ბრძოლა მხოლოდ გ. მუსაელიან-ნ. ჩუგონოვის და ო. ჭარხალაშვილ-ნ. ოზეროვის შეხვედრებში იგრძნობოდა. ორივე ეს შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ეს უპირატესობა მხოლოდ დიდი გამოცდილების წყალობით იქნა მოპოვებული.

ანგარიში კატასტროფულად გაიზარდა — 5:10 და თამაშში გარდატეხის შეტანა მასპინძელთა ძალღონეს აღემატებოდა.

მძინარიშვილ-მეტრეველის წყვილმა ლუნინ-ტკაჩევზე გამარჯვებით ერთი ქულა მოუტანა საქართველოს გუნდს. ერთი ქულა იქნა მოპოვებული ივანოვა-მეტრეველის წყვილის მიერაც, მაგრამ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მოზრდილთა წყვილებმა ფეხი ვერ აუწყვეს მოზარდთა წინსვლას. შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 14:8 (ივანოვა-თუხარელს მოწინააღმდეგე არ გამოუცხადდათ და მერვე ქულა უბრძოლველად მიიღო ჩვენმა გუნდმა).

საქართველოს ჩოგბურთელთა კოლექტივი მეოთხე ადგილს დასჯერდა. ეს ცუდი მაჩვენებელი როდია — ჩვენს უკან არიან უკრაინისა და ლენინგრადის მდიდარი ტრადიციების მქონე გუნდები, რომელთა ბრძოლა მეხუთე ადგილისათვის უკრაინელთა გამარჯვებით დამთავრდა — 14:7.

პირველ-მეორე ადგილის ბედი გაირკვევა დღეს — ესტონეთისა და რსფსრ-ს გუნდების შეხვედრაში.

გ. სამანიშვილი

ორი დაკალება



ამ ამოცანაში შავ მეფეს უნდა გამოეცხადოს შამათი ერთ სვლაში, მაგრამ მანამდე საჭიროა თეთრებმა უკან დაიბრუნონ თავიანთი ბოლო სვლა. რომელია ეს სვლა და როგორ გაკეთდება შამათი?

პასუხები

1 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი საშადრაკო ამოცანის პასუხია: ეტლ g4-ს დავსვამთ g1-ზე და გრძელი როქის გაკეთებით გამოვაცხადებთ შამათს.

22 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული „ოსტატ გრიგორიევის ხუმრობა“ იხსნება ასე: წინა პაიკს შევცვლით უკანმდებარე პაიკით და ერთ სვლაში დავაშამათებთ შავ მეფეს.

გამარჯვებული

თბილისში, ცენტრალურ საშადრაკო კლუბში დამთავრდა ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 11 მოშადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრებაში პირველი შვიდი გამარჯვებული რ. ჯინჯიხაშვილი, მ. თხელიძე, თ. კიკიანი, ა. იზვოზჩიკოვი, თ. გიორგაძე, ი. ვეტოხინი და გ. მაჭავარიანი მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ოსტატის წოდების მოსაპოვებელ ტურნირში, რომლის გამართვა ნავარაუდევია თბილისში 15 ნოემბრიდან.

ექვსთა ტურნირი

კრასნოდარი. (ტელეფონით). აქ გრძელდება რსფსრ-ს ზონებში გამარჯვებული 6 უძლიერესი გუნდის: კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“, კიროვის „დინამოს“, გროზნოს „ტერეკის“, ჩელიაბინსკის „ლოკომოტივის“, კალინინის „ვოლგასა“ და ხაბაროვსკის არმიელთა გუნდების ტურნირი ორ წრედ.

27 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. კიროვის „დინამომ“ ჩელიაბინსკის „ლოკომოტივთან“ მატჩში შეძლო ერთადერთი გოლის გატანა და გაიმარჯვა. ახლა მას 4-დან 4 ქულა აქვს და ტურნირს ლიდერობს. 4 ქულა აქვს „ტერეკს“ (გროზნო), რომელმაც მეორე ტურში დაამარცხა კუიბიშეველი სპორტსმენები — 2:1.

შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იზრდება ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში ი. მხეიძის ოსტატობა. მის ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამას წინათ თბილისში ჩატარებულმა ჩვენი ქვეყნის პირველობამ მძლეოსნობაში. აქ ახალგაზრდა სპორტსმენი გაეცნო თითქმის ყველა წამყვანი მტყორცნელის ტექნიკას, მათგან ბევრი რამ ისწავლა.

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში ფიზკულტურის ინსტიტუტების სტუდენტთა შეჯიბრებაზე პირველად გადალახა ოსტატის ზღვარი — 49 მეტრი, მისი შედეგია — 49 მ და 62 სმ.

სურათზე: ი. მხეიძე ტყორცნის ბადროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

გონებამახვილური პასუხი

ერთხელ დიდი საერთაშორისო საშადრაკო ტურნირის წინ მსოფლიო ჩემპიონს ვ. სტეინიცს ჰკითხეს მონაწილეთა შანსების შესახებ.

— პირველი ადგილის ყველაზე კარგი შანსები მაქვს მე, — უპასუხა გაღიმებულმა მსოფლიო ჩემპიონმა, — რადგან ყველა მონაწილეს მოუწევს თამაში სტეინიცთან, მე კი არა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმაურდა წიწამური

სოფ. წიწამურის მიდამოებში ჩატარდა ქ. თბილისის მე-7 ტრადიციული ტურისტული შეკრება, რომლის პარალელურად ტარდებოდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური შეკრება 12 გუნდის მონაწილეობით.

წიწამურში მისვლამდე მონაწილეებს ქვეითად და ტრანსპორტის საშუალებებით უნდა გაევლოთ მრავალი პუნქტი, როგორიც იყო ზაპესი, ჯვრის მონასტერი, მცხეთა, ზედაზენი, საგურამო და სხვ. განვლილი პუნქტები უნდა აღნიშნული ყოფილიყო სამარშრუტო ფურცლებზე, რომლებიც ყველა გუნდს გაჩნდა.

შეჯიბრება მეტად რთულ პირობებში ჩატარდა: წინა დღის კოკისპირული წვიმის შედეგად სველ მიწაზე ფეხი ცურავდა, ქროდა ძლიერი ქარი და ისედაც დასერილი ტრასა ძნელად დასაძლევ დაბრკოლებად გადაექცათ მოლაშქრეებს. თვითეული გუნდი შედგებოდა ოთხი ვაჟისა და ორი ქალისაგან. მათ ექვს ეტაპზე უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამანათრბენში, რომელიც თავის მხრივ საინტერესო და მრავალფეროვანი ეტაპებისაგან შედგებოდა. ასე მაგალითად, რბენა 100 მეტრზე და გაცურვა, კლდეზე სპორტული ასვლა და თოკით დაშვება, სირბილი მთის ბილიკზე და სხვ. ამანათრბენის დამთავრების შემდეგ გუნდის თვითეულ მონაწილეს უნდა დაეძაბა ძალები, რათა რაც შეიძლება მალე გაეშალა კარავი, აენთო ცეცხლი და აედუღებინა წყალი.

ამ მეტად საინტერესო სპორტულ ჰიდილში გამარჯვებული გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი გუნდი, რომელმაც ზემოაღნიშნული ჩასათვლელი ნორმები 13 წუთში ჩააბარა. უმაღლესი სასწავლებლებიდან მეორე ადგილზე გამოვიდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის I გუნდი, ხოლო მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის II გუნდი.

წარმოება-დაწესებულებათა შორის სხვებზე გაცილებით უკეთ გამოვიდნენ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ტურისტები, რომლებმაც დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის წარმომადგენლები. მესამე იყო ამავე კოლექტივის II გუნდი.

გამარჯვებულ ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველ გუნდს გადაეცა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი თასი, ხოლო დანარჩენ პრიზიორებს შესაბამისი დიპლომები.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი საქართველოში ფართოდ იკიდებს ფეხს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ზემოაღნიშნული შეკრება, სადაც მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა თელავის ორი და სოხუმის გუნდი. თუ შარშან წარმოება - დაწესებულებათაგან მხოლოდ მაუდკამვოლის გუნდი მონაწილეობდა, წელს მონაწილეთა რიცხვი 7 აღწევდა.

სურათზე: ვინ სწრაფად დადგამს კარავს, აანთებს კოცონს.

ფოტო და ტექსტი გ. კვაჭაძისა.



ფეხბურთის ახალი ამბები

ჰერბერგერის პრეს-კონფერენცია

იმასთან დაკავშირებით, რომ საბერძნეთის გუნდთან დარჩენილი მატჩის მიუხედავად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება, მიუნხენში პრეს-კონფერენცია გამართა ამ გუნდის მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა. მან განაცხადა, რომ გერმანელებმა ძირითადად დაამთავრეს მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადება და ექსპერიმენტებს აღარ ექნება ადგილი. დარჩენილ მატჩს საბერძნეთთან, განაცხადა ჰერბერგერმა, გერმანელები გამოიყენებენ, როგორც საწვრთნელ შეხვედრას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის ძირითადი შემადგენლობა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მწვრთნელის თქმით, ასეთია: მეკარე ტილკოვსკი, მცველები ნოვაკი, ვენაუერი და ერჰარტი, ნახევარმცველები შულცი და გიზემანი, თავდამსხმელები კრესი, ჰერმანი, ზეელერი, ჰალვრი და ბრიულსი. ნაკრების ორი უძლიერესი მოთამაშე, განთქმული ნახევარმცველი შიმანიაკი და თავდამსხმელი შტურმერი ამჟამად თამაშობენ უცხოეთის კლუბებში. როგორც ჰერბერგერმა თქვა, იგი ამ ფეხბურთელებსაც შეიყვანს ჩილში გასამგზავრებელ კანდიდატთა სიაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის მზადება ზამთარშიც გაგრძელდება ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებთან ერთად. რადგან ეროვნული ჩემპიონატის ახლანდელი სისტემა (ჯერ შეჯიბრება ზონებში, შემდეგ აქ გამარჯვებულთა ფინალური ტურნირი) ექსპერტთა აზრით, სრულიად უვარგისია, ამიტომ მომავალი ჩემპიონატი ჩატარდება ევროპაში მიღებული საერთო წესით. ახლანდელი პირველი ლიგის გუნდები ძალის მიხედვით ოთხ ლიგად იქნებიან დანაწილებული. 16 უძლიერესი გუნდი ითამაშებს რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაზე.

როგორც პრეს-კონფერენციის მონაწილეებს გამოუცხადეს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უკანასკნელი მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბერძნეთის გუნდებს შორის ჩატარდება ქ. აუგსბურგის „როზენაუს“ სტადიონზე, 29 ნოემბერს.

ბოქიკი იმსახურებს „ხუთიანს“

გასული წლებისაგან განსხვავებით წელს უნგრეთის ჩემპიონატში დიდი წარმატებით თამაშობს ერთ დროს პოპულარული კლუბი „ჰონვედი“, რომელსაც 9 ტურის შემდეგ 13 ქულა აქვს და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება „ტატაბანიას“. „ჰონვედის“ ასეთ წარმატებას უნგრელი მიმომხილველები მიაწერენ „დიდი გუნდის“ ყოფილი კაპიტნის, ცნობილ ნახევარმცველ იოჟეფ ბოქიკის „გაახალგაზრდავებას“. ბოქიკი ამჟამად თავის კლუბში ცენტრფორვარდად თამაშობს და თავდასხმის საუცხოო ლიდერია. მისი დამსახურებაცაა, რომ „ჰონვედის“ ცნობილმა სნაიპერმა ტიხმ 9 თამაშში უკვე „მოასწრო“ 14 ბურთის გატანა და გაუსწრო დანარჩენ მეტოქეებს.

კალენდარული მატჩების შემდეგ უნგრელი მწვრთნელები ჩვეულებრივ ნიშნებს უწერენ მოთამაშეებს, რომლებიც შემდეგ ქვეყნდება ჟურნალ „კეპეშ სპორტში“. უნდა ითქვას, რომ მწვრთნელები მეტად ძუნწად წერენ ნიშნებს. მათი ჩვეულებრივი ნიშნებია „3“ და „2“, კიდეც ამიტომ მეცხრე ტურში მონაწილე 14 გუნდის ფეხბურთელთაგან ნიშანი „5“ მხოლოდ ორმა დაიმსახურა. ერთი მათგანია ბოქიკი, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი „დოჟასთან“ („ჰონვედმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.). ასეთი ნიშანი დაიმსახურა აგრეთვე „ჩეპელის“ ახალგაზრდა მარჯვენა გარემარბმა კალმარმა.

შესარჩევი მატჩი

დამთავრდა მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშები მეექვსე ჯგუფში. უკანასკნელ მატჩში, რომელიც ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა, ინგლისის ნაკრებმა მიიღო პორტუგალიის ნაკრები. ამ მატჩში ინგლისელებმა ნაკრების შემადგენლობაში პირველად გამოიყვანეს მარჯვენა გარემარბად კონოლი და ცენტრში პოინტერი. სწორედ კონოლიმ გაიტანა პირველი გოლი, ხოლო პოინტერმა მეორე. ამ ანგარიშით (2:0) დამთავრდა მატჩიც. ამრიგად, ინგლისელებმა მოაგროვეს 7 ქულა და გავიდნენ პირველ ადგილზე.

საკავშირო ფედერაციაში

ამას წინათ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ შეამოწმა მრავალი ფიზკულტურული ორგანიზაცია და აღმოაჩინა ჭაბუკ ფეხბურთელთა დატვირთვის ნორმების სერიოზული დარღვევები.

ბევრ ადგილას მოზრდილთა გუნდებში უშვებენ სათამაშოდ ჭაბუკებს, ზოგან მოზარდებსაც კი. არის შემთხვევები, როცა ჭაბუკ ფეხბურთელებს, რომლებიც სწავლობენ ახალგაზრდა ფეხბურთელთა მოსამზადებელ ჯგუფებში, ბავშვთა სპორტულ სკოლებში და გამოდიან თავის გუნდებში, აიძულებენ დამატებით ითამაშონ ძირეული კოლექტივის ნაკრებში სამსახურის ადგილის მიხედვით. ამის გამო ჭაბუკ ფეხბურთელებს კვირაში სამჯერ მაინც უხდებათ თამაში. ოსტატთა გუნდებში მიღებულია მრავალი ახალგაზრდა, მაგრამ წვრთნისა და თამაშებში მონაწილეობის მათი რეჟიმი არაფრით არ განსხვავდება მოზრდილ ფეხბურთელებისაგან.

საექიმო შემოწმება ეწყობა მხოლოდ წელიწადში ერთხელ — შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის განაცხადის გაფორმების დროს. განმეორებითი შემოწმება არ ხდება მაშინაც კი, როცა ადგილი აქვს ჯანმრთელობის არანორმალურ მდგომარეობას. ხშირად სამედიცინო ბარათი ფორმდება ისე, რომ მასში არ არის ნაჩვენები თუ რომელი ასაკის გუნდში დაიშვება ნორჩი ფეხბურთელი.

ჭაბუკი ფეხბურთელების ჯანმრთელობისადმი ასეთი დამოკიდებულება აფერხებს ოსტატთა გუნდებისათვის რეზერვების მომზადებას.

ამიტომ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ მოუწოდა ფედერაციებსა და სექციებს მტკიცედ დაიცვან ასაკობრივი გრადაციები ბავშვების, მოზარდთა და ჭაბუკების შეჯიბრების დროს. აკრძალა მოზრდილთა გუნდებში 18 წელზე ნაკლები ასაკის ჭაბუკების მონაწილეობა. მაგრამ დაუშვა „ა“ კლასის გუნდებში 17-წლიანთა მონაწილეობა, მხოლოდ ექიმის ნებართვით.

ფედერაციამ დაავალა ოსტატთა გუნდების უფროსებს, მწვრთნელებს, ბავშვთა სპორტული სკოლების, ძირეული კოლექტივების ფეხბურთის სექციებს გაუმჯობესონ ჭაბუკი ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმების მიმდინარეობა. წლის მანძილზე მათ უნდა გაიარონ საექიმო შემოწმება არანაკლებ სამჯერ.



ნახ. ლ. სიხარულიძისა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01187